საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.04.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 025/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ რ. პ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ რ. პ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 24 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ რ. პ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2023 წლის 17 მაისს, საჩივრის ავტორი დაესწრო ონლაინ ფორმატით გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომას, სადაც დაადასტურა საჩივარში მითითებული გარემოებები.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად არის ცნობილი მის მცირეწლოვან შვილთან ნ. ბ.-სთან ერთად. ბრალდებულია მ. მ.-ის მეუღლე მ. ბ.,

რომელსაც ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის $126^1.1$; $126^1.2$(ა); 126^1. 2(ბ) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულს შეფარდებული აქვს გირაო. როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო საქმის ფარგლებში მ. მ.-ის შვილის ინტერესებს იცავს სახელმწიფოს მიერ იურიდიული დახმარების ბიუროდან დანიშნული ადვოკატი, ხოლო საპროცესო წარმომადგენლობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. საჩივრის ავტორმა 2023 წლის 17 მაისს, განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე დღემდე მიმდინარეა და საქმეზე საბოლოო შედეგი დამდგარი არ არის.

1.3 საჩივრის ავტორისთვის ცნობილი გახდა, რომ მისი მცირეწლოვანი შვილის ნ. ბ.-ის ინტერესების დამცველ ადვოკატად მ. ბ.-მ ან მისმა ოჯახმა დაიქირავა ადვოკატი რ. პ. , მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული არასრულწლოვანის ინტერესებს უკვე იცავდა იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი. მ. მ. შეხვდა მოპასუხე ადვოკატს და შეეცადა აეხსნა, რომ დაუშვებელი იყო მას დაეცვა ნ. ბ.-ის ინტერესები. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა განაცხადა, რომ მას სრული უფლება აქვს იყოს ნ. ბ.-ის წარმომადგენელი და მ. მ.-ს არ ეხება თუ ვინ დაიქირავა ის მისი შვილის წარმოდგენისთვის. საჩივრის ავტორმა 2023 წლის 17 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე დააზუსტა, რომ მას მოპასუხე ადვოკატისათვის დაზუსტებით არ მიუწოდებია ინფორმაცია საქმის დეტალებზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ შეასრულა მისი მოთხოვნა, რის გამოც, ადვოკატის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 10-15 დღის შემდეგ, 2021 წლის აპრილში მან შუამდგომლობით მიმართა პროკურორს ადვოკატის საქმიდან ჩამოცილების მოთხოვნით. 2021 წლის 07 მაისს პროკურორის მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე ადვოკატი რ. პ. აცილებული იქნა საქმიდან.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის უცნობია კონკრეტულად რა მოქმედებებში მიიღო ადვოკატმა რ. პ.-მ მონაწილეობა, როგორც ნ. ბ.-ის წარმომადგენელმა, თუმცა სოციალური დაცვის სააგენტოს წარმომადგენელმა მას აცნობა, რომ ადვოკატმა რ. პ.-მ ჩაიბარა ნ. ბ.-ის დაზარალებულად ცნობის დადგენილება. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა რ. პ.-მ უხეშად დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, რადგან არსებობდა ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე - ადვოკატის საქმეში ჩართვა შესაძლოა ემსახურებოდა ბრალდებულის ინტერესებს, რაც მნიშვნელოვნად დააზარალებს მისი შვილის კანონიერ ინტერესებს. საჩივრის ავტორის მოთხოვნაა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, რადგან მიიჩნევს, რომ ეს პრევენციული მექანიზმი იქნება ადვოკატისთვის.

1.5 საჩივრის ავტორმა 2023 წლის 17 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე დააზუსტა, რომ მისთვის უცნობია კონკრეტულად ბრალდებულის მოწვევით ჩაერთო თუ არა ადვოკატი სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში, თუმცა ფლობს ინფორმაციას, რომ ადვოკატი რ. პ. ნ. ბ.-ის ინტერესების დასაცავად სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთო ბრალდებულის მამის - გ. ბ.-ის მოწვევით, 2021 წლის აპრილის თვეში. ამასთან, ადვოკატს სამართლებრივი მოქმედებები არ განუხორციელებია არასრულწლოვნის დასაცავად და სისხლის სამართლის საქმეს ჩამოშორდა რამდენიმე კვირაში, იმ მიზეზით, რომ მომჩივანმა იშუამდგომლა მისი აცილების თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა 2021 წლის 05 მაისს. მომჩივანის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატ რ. პ.-ს არ განუხორციელებია საპროცესო მოქმედებები დაზარალებული არასრულწლოვნის

დასაცავად, ის ფაქტი, რომ ადვოკატი არასრულწლოვნის ინტერესებს იცავდა ბრალდებულის მამის თხოვნის საფუძველზე და მისთვის ცნობილი იყო შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე, წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ეთიკური სტანდარტების დარღვევას და მომჩივანიც მხოლოდ აღნიშნულ ფაქტს მიიჩნევს სადავოდ. საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ არასრულწლოვანს ბაბუასთან საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდა და მას შვილიშვილი ძალიან უყვარდა. მომჩივანმა ბაბუა დადებითად დაახასიათა, თუმცა განმარტა, რომ მისი ინტერესი შესაძლოა ყოფილიყო ბრალდებულის სასარგებლო შედეგის მიღება და მისი პოზიციაა, რომ სწორედ ამ მიზნით დაიქირავა მან ადვოკატი რ. პ. , არასრულწლოვანზე ზეგავლენის მოსახდენად.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2021 წლის 16 ივნისს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატმა რ. პ. - მ განმარტა, რომ არ ეთანხმება საჩივარში მითითებულ პრეტენზიებს. ადვოკატმა რ. პ.-მ მონაწილეობა მიიღო განხილვის კოლეგიის 2023 წლის 17 მაისის ონლაინ ფორმატით გამართულ სხდომაში, სადაც განმარტა, რომ საჩივარი არის უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მ. მ.-ის შვილის, დაზარალებულად ცნობილი ნ. ბ.-ის ინტერესების დაცვის მიზნით მიმართა არასრულწლოვნის ბაბუამ - გ. ბ.-მ. შეთანხმება შედგა ზეპირი ფორმით, რომლის მიხედვითაც, სახაზინო ადვოკატთან ერთად, ადვოკატი რ. პ.-ც უნდა დასწრებოდა არასრულწლოვნის გამოკითხვას და თვალი ედევნებინა, რომ გამოკითხვის ოქმში, ბრალდების მხარეს სწორად აღეწერა ბავშვის მიერ მიწოდებული ინფორმაცია. სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესრულებით შემოიფარგლებოდა ადვოკატის უფლებამოსილება. მისი როლისა და უფლებამოსილების გათვალისწინებით, ადვოკატისათვის უცნობია ვისი ინტერესები შეიძლებოდა მას დაეზარალებინა, მაშინ, როდესაც მისთვის უცნობი იყო როგორც არასრულწლოვნის სტატუსი, ისე საქმის მასალები და კომუნიკაცია არ ჰქონდა არასრულწლოვანთან. ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე ის ძალიან მალე, რამდენიმე კვირაში ჩამოშორდა სისხლის სამართლის საქმისწარმოებას, ისე, რომ საქმეზე არავითარი საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია. ადვოკატმა რ. პ.-მ 2023 წლის 17 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე დააზუსტა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, მას მონაწილეობა რომ მიეღო საქმისწარმოებაში, ის იმოქმედებდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე და რომ არა აცილების შემთხვევა, ის სწორედ აღნიშნული პრინციპის შესაბამისად დაიცავდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. ადვოკატმა დააზუსტა, რომ მან ადვოკატის აცილებაზე პროკურორის შუამდგომლობა მხოლოდ იმ მიზეზით არ გაასაჩივრა, რომ დაპირისპირებული მხარეების დამოკიდებულების გათვალისწინებით, არ სურდა ასეთ დაძაბულ საქმეში წარმომადგენლობის გაგრძელება. ამასთან, ადვოკატს ჰქონდა ძალიან დაკავებული სამუშაო გრაფიკი.

2.3 2023 წლის 17 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა რ. პ.-მ დამატებით განმარტა, რომ მას არავითარი კომუნიკაცია არ ჰქონია მომჩივანის მეუღლესთან და მისთვის უცნობი იყო მისი პოზიცია და დამოკიდებულება. ადვოკატმა რ. პ.-მ 2023 წლის 17 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე დააზუსტა, რომ მ. მ. ნამდვილად იყო მასთან ოფისში და ხმამაღალი ტონით,

უხეშად მოუწოდებდა ჩამოშორებოდა ნ. ბ.-ის სისხლის სამართლის საქმეს, რის საპასუხოდაც ადვოკატმა მოუწოდა რომ შეეწყვიტა მისი დისკრედიტაცია და დაეტოვებინა მისი ოფისი. ადვოკატმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ მ. მ.-ს მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია არასრულწლოვნის სტატუსზე და მისთვის აღნიშნული ფაქტი უცნობი იყო. ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს და სისხლის სამართლის საქმეში სტატუსის მინიჭება განსაზღვრულ წინაპირობებს უკავშირდება. შესაბამისად, საქმისწარმოების ადრეულ ეტაპზე ადვოკატისათვის უცნობია რა სტატუსი აქვს მინიჭებული პირს. ადვოკატმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მ. მ.-ის განცხადება, თითქოს ადვოკატმა ჩაიბარა არასრულწლოვნის დაზარალებულად ცნობის თაობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული დადგენილება, სიმართლეს არ შეესაბამება.

2.4 2023 წლის 17 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატმა განმარტა, რომ აღნიშნულ საქმეზე მას არასრულწლოვნის ბაბუამ გადასცა ჰონორარი - 500 ლარი, თუმცა იმის გამო, რომ მან შეთანხმების მიხედვით ვერ განახორციელა არასრულწლოვნის საადვოკატო მომსახურება, ის დაუკავშირდა არასრულწლოვნის ბაბუას და შესთავაზა თანხის დაბრუნება, რაზეც მან უარი განაცხადა. შესაბამისად, ვინაიდან ადვოკატს აღნიშნული თანხა მიღებული ჰქონდა, მან მონაწილეობა მიიღო მ. მ.-სა და მ. ბ.-ს შორის მოგვიანებით წარმოშობილ სამოქალაქო დავაში, როგორც მ. ბ.-ის წარმომადგენელმა და მხოლოდ ერთ სასამართლო პროცესს დაესწრო.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2021 წლის 13 ივლისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ რ. პ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების საქმის წარმოების განხილვის ეტაპზე დადგენის შემთხვევაში, ადვოკატ რ. პ.-ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1 მუხლი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.1 მუხლი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 *განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:*

4.1.1 ადვოკატი რ. პ., როგორც არასრულწლოვანი ნ. ბ.-ის ადვოკატი, ოჯახური ძალადობის სისხლის სამართლის ჩაერთო 2021 წლის აპრილის თვეში და 2021 წლის 05 მაისს, პროკურორის დადგენილების საფუძველზე აცილებული იქნა საქმიდან.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;

2. ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის 07.05.21 წლის N წერილი.

4.1.2 სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც დაზარალებულებს წარმოადგენენ არასრულწლოვანი ნ. ბ. და მ. მ., ხოლო ბრალდებულია მ. ბ., საბოლოო შედეგი დამდგარი არ არის.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება (იხ. 2023 წლის 17 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი).

4.2 *განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი სადავო ფაქტები:*

4.2.1 ადვოკატი რ. პ. , როგორც არასრულწლოვანი ნ. ბ.-ის ადვოკატი, სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთო თავად ბრალდებულის ან არასრულწლოვნის ბაბუის - გ. ბ.-ს (ბრალდებულის მამის) მოწვევით, დამქირავებლის სასარგებლოდ არასრულწლოვანზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

განხილვის კოლეგიის 2023 წლის 17 მაისის ონლაინ ფორმატით გამართულ სხდომაზე საჩივრის ავტორმა დააზუსტა, რომ ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის დროს მისთვის უცნობი იყო კონკრეტულად ვისი მოწვევით ჩაერთო ადვოკატი რ. პ. სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში და აღნიშნა, რომ ის შესაძლოა საქმისწარმოებაში ჩაერთო ბრალდებულის მამის მოწვევით და მისი პოზიციით, სწორედ ეს ფაქტი წარმოადგენდა ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევას, ვინაიდან ადვოკატი არ იყო დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ბაბუას შვილიშვილი ძალიან უყვარდა და მათ საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდათ. მ. მ. - მ კომისიას მიუთითა, რომ არასრულწლოვნის ბაბუა - გ. ბ. გარდაიცვალა. განხილვის კოლეგიის იმავე სხდომაზე ადვოკატმა რ. პ.-მ განმარტა, რომ სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთო დაზარალებული არასრულწლოვნის ბაბუის მოწვევით, ისე რომ მისთვის უცნობი იყო არასრულწლოვნის სტატუსი და საქმისწარმოებას რამდენიმე კვირაში ჩამოშორდა. ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ არასრულწლოვნის ბაბუასთან მოლაპარაკების შედეგად მას მხოლოდ გამოკითხვაზე დასწრება ევალებოდა და მიუხედავად იმისა, რომ მას არც ერთი საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია, ადვოკატირების განხორციელების შემთხვევაშიც, იმოქმედებდა მხოლოდ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის 07.05.21 წლის N წერილი, სადაც მითითებულია, რომ 2021 წლის 05 მაისს დაკმაყოფილდა მ. მ.-ის შუამდგომლობა, ადვოკატ რ. პ.-ის აცილების თაობაზე. ორივე მხარის განმარტებით, ადვოკატი საქმისწარმოებაში ჩაერთო 2021 წლის აპრილის თვის შუა რიცხვებში, ხოლო საქმიდან აცილებულ იქნა მაისის თვის დასაწყისში და სადავო პერიოდში ადვოკატი რ. პ. იყო მხოლოდ არასრულწლოვნის და არა ბრალდებულის ადვოკატი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით

გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს. კოლეგია განმარტავს, რომ ამ კონკრეტული სადავო ფაქტების მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს - მ. მ.-ს. „მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1294-1214-2015). შესაბამისად, დასახელებულ შემთხვევაში სწორედ საჩივრის ავტორს ეკისრება მტკიცების ტვირთი, ეთიკის კომისიას წარუდგინოს ისეთი უტყუარი და სარწმუნო მტკიცებულებები, რომლების დაადასტურებს ადვოკატის მიერ სადავო ქცევის ჩადენას.

განხილვის კოლეგიამ ადვოკატ რ. პ.-ის მიერ განხორციელებული ქმედებები შეაფასა საქმის თავისებურებებისა და ერთიანი კონტექსტის გათვალისწინებით. განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საჩივრის ავტორი ზუსტად ვერ უთითებს თუ ვისი მოწვევით ჩაერთო ადვოკატი რ. პ. სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში და არ გამორიცხავს ფაქტს, რომ ადვოკატი რ. პ. სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში ჩაერთო დაზარალებული არასრულწლოვნის ბაბუის მოწვევით. კოლეგიისათვის საყურადღებოა, რომ საჩივრის ავტორი დადებითად ახასიათებს ბაბუას და ადასტურებს, რომ მას შვილიშვილთან ძალიან თბილი ურთიერთობა ჰქონდა. ამავდროულად, საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია იმის დამდასტურებელი მტკიცებულება, რომ დაზარალებული არასრულწლოვნის ბაბუა იზიარებდა ბრალდებულის ქმედებებსა და დამოკიდებულებას ოჯახის წევრების მიმართ. საჩივრის ავტორს ასევე არ წარმოუდგენია იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ადვოკატი რ. პ. დაქირავებული იყო ბრალდებულის მიერ და ადვოკატს ჰონორარს ბრალდებული უხდიდა. ისევე როგორც ადვოკატი, საჩივრის ავტორიც უთითებს, რომ ადვოკატი რ. პ. წარმოადგენდა მხოლოდ არასრულწლოვნის ინტერესებს და სადავო პერიოდში არ ყოფილა ბრალდებულის ადვოკატი. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ ადვოკატს საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულების საშუალება არ მიეცა და საქმისწარმოებას ძალიან მალე - რამდენიმე კვირაში ჩამოშორდა. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები რომ ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო საპროცესო მოქმედებებში, განახორციელა სამართლებრივი მოქმედებები ან/და შეხვდა და გაესაუბრა არასრულწლოვანს. განხილვის კოლეგია უთითებს იმ გარემოებაზეც, რომ სადავო სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში ჩართული იყო სახაზინო ადვოკატიც, რაც დამატებით განამტკიცებდა არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მაღალ ხარისხს. ამავდროულად, სასამართლოს მიერ ბრალდებულ მ. ბ.-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი მიღებული არ არის და საქმე კვლავ მიმდინარეა.

შესაბამისად, რადგან საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც კომისიას დაარწმუნებდა, რომ ადვოკატი რ. პ. დაიქირავა უშუალოდ ბრალდებულმა; ამავდროულად, არ დგინდება, რომ არასრულწლოვნის ბაბუა იზიარებდა ბრალდებულის დამოკიდებულებასა და იცავდა მის ინტერესებს; არ დგინდება, რომ ადვოკატი შეხვდა

არასრულწლოვანს ან განახორციელა საპროცესო მოქმედებები. განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, არ დგინდება, რომ ადვოკატი რ. პ., არასრულწლოვანი ნ. ბ.-ის სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთო არასრულწლოვანზე დამქირავებლის სასარგებლოდ ზეგავლენის მოსახდენად ან/და აღნიშნული მიზნით განახორციელა სამართლებრივი მოქმედებები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება (იხ. 2023 წლის 17 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი).

2. ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის 07.05.21 წლის N წერილი.

5. სამართლებრივი შეფასება:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ რ. პ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განსახილველ საქმეზე, დისციპლინური საქმის განმხილველი საპროცესო კოლეგიის მიერ დისციპლინური დევნა დაწყებულია ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალიწინებული დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მარეგულირებელი სტანდარტების შესაძლო დარღვევაზე („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1 მუხლი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“ 6.1 მუხლი).

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).

ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1)

6.2 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №092/10 მიუთითა: „ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.“

6.3 „კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ - ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესებს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე №015/10).

6.4 საპროცესო კოლეგიის პოზიციით, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა რ. პ.-მ სისხლის სამართლის საქმეში არასრულწლოვანი დაზარალებულის - ნ. ბ.-ის ადვოკატის სტატუსით ჩართვით დაარღვია დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ეთიკური სტანდარტები.

6.5 განხილვის კოლეგია არ იზიარებს საპროცესო კოლეგიის პოზიციას. განხილვის კოლეგიის შეფასებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ადვოკატი რ. პ. სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთო როგორც არასრულწლოვანი ნ. ბ.-ის ინტერესების დამცველი, არ წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის საფუძველს. დასახელებულ შემთხვევაში კომისიამ უნდა შეაფასოს ადვოკატ რ. პ. მოქმედებდა თუ არა დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, როდესაც საქმეში ჩაერთო სავარაუდო მოძალადე პირის მამის, ნ. ბ.-ის ბაბუის მოწვევით.

6.6 მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ ადვოკატი რ. პ. წარმოადგენდა საჩივრის ავტორის არასრულწლოვანი შვილის - ნ. ბ.-ის ინტერესებს. საქმეში წარმოდგენილია 2021 წლის 11 მარტს ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორის მიერ შედგენილი დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ. დაზარალებული პირია ნ. ბ., ხოლო გამოძიება მიმდინარეობს ოჯახში ძალადობის შედეგად, ნ. ბ.-სთვის მორალური ზიანის მიყენების საფუძველზე. შემთხვევა ეხება მ. ბ.-ის მხრიდან მ. მ. - ის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს, რომლის შემსწრეც იყო მათი არასრულწლოვანი შვილი ნ. ბ..

6.7 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული/ გამართლებული და დაზარალებული უზრუნველყოფილი არიან უფასო იურიდიული დახმარებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს ამ არასრულწლოვნის მიერ აყვანილი ადვოკატი (მუხლი 15.1). ამავე კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვნის საქმეს აწარმოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი, რომელიც ვალდებულია კანონით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად წარმოადგინოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული ფორმის დოკუმენტი (მუხლი 20.1).

6.8 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის მსჯელობას, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით არასრულწლოვანს აქვს უფლება მიიღოს იურიდიული დახმარება სპეციალიზებული ადვოკატის მხრიდან, რომლებიც უნდა იყვნენ სპეციალიზებული ბავშვთა საკითხებზე და პროცესში წარმოადგენდნენ უშუალოდ ბავშვის ინტერესებს. დაზარალებული არასრულწლოვანისთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, რათა მათ შეძლონ საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვა მათი ასაკის შესაბამისად. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ბავშვს, ასაკის მიუხედავად აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით და მოითხოვოს წარმომადგენლის დანიშვნა. გარდა იმისა, რომ ბავშვის სამართლებრივი დახმარების ვალდებულება აკისრია სახელმწიფოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვი კვალიფიციური ადვოკატით, რაც ხორციელდება უფლებამოსილი ორგანოს დახმარებით, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მშობელს ეზღუდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ბავშვს უფლება აქვს ჰყავდეს გარიგებითი წარმომადგენელი (ადვოკატი),

რომელიც პროფესიულ საქმიანობას განახორციელებს კანონმდებლობის საფუძველზე, პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტების დაცვითა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად (ბავშვთა უფლებათა კოდექსი; 74-ე და 75 მუხლები). ბავშვთა უფლებათა კოდექსთან წინააღმდეგობაში არ მოდის ისეთი შემთხვევა, როდესაც საქმეში ერთვება მოწვეული ადვოკატი, ისეთ შემთხვევაშიც კი, თუ არასრულწლოვანს უკვე დაენიშნა ადვოკატი სახელმწიფოს მიერ. განხილვის კოლეგია ასევე განმარტავს, რომ ბავშვის მიერ წარმომადგენლის არჩევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ შემთხვევას, როდესაც ბავშვის მშობელი, ოჯახის სხვა წევრი ან ალტერნატიული ზრუნვის განხორციელებისთვის პასუხისმგებელი პირი სავარაუდო მოძალადეა. კოლეგია განმარტავს, რომ ასეთ დროს მნიშვნელოვანია შეფასდეს მთელი რიგი ობიექტური გარემოებები, რომლებიც კომისიას დაარწმუნებს, რომ ადვოკატი რ. პ. მოქმედებდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დამოუკიდებლობის სტანდარტის დარღვევით და ადვოკატის ქმედებით დაირღვა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პროფესიული ვალდებულება. ადვოკატ რ. პ. - ის პროფესიული ქცევის შეფასებისას, კომისიამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ საჩივრის ავტორის მიერ დასახელებულ სადავო პერიოდში არ დგინდება ადვოკატ რ. პ.-ისა და ბრალდებულს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა; საჩივრის ავტორის განმარტება, რომლის მიხედვითაც მ. მ.-მ დადებითად დაახასიათა არასრულწლოვანი ნ. ბ.-ის ბაბუა (დამქირავებელი); საჩივრის ავტორის განმარტება, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანი ნ. ბ.-ის ბაბუა, ვინც დაიქირავა ადვოკატი რ. პ. გარდაცვლილია და კომისიისათვის უცნობია მისი დამოკიდებულება ბრალდებულის ქცევის მიმართ; ფაქტი, რომ ადვოკატი რ. პ. არ შეხვედრია არასრულწლოვანს; მისი ინტერესების დასაცავად არ განუხორციელებია სამართლებრივი მოქმედებები და სისხლის სამართლის საქმისწარმოებას რამდენიმე კვირაში ჩამოშორდა.

6.9 განხილვის კოლეგია ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებას საქმეზე Nას-521-2022, რომლის მიხედვით: „გარემოება შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, თუ ერთი მხარე მიუთითებს მასზე და მეორე მხარე არ ეწინააღმდეგება ამ მითითებას. ეს იმას ნიშნავს, რომ შეჯიბრებითი პრინციპის საფუძველზე, მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის წააგებს დავას.“ დასახელებულ შემთხვევაში ადვოკატმა რ. პ.-მ უარყო საჩივრის ავტორების პრეტენზიები. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ „მაშინ, როდესაც მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე 166/18, პარ. 6.4). საპროცესო ეტაპისაგან განსხვავებით, განხილვის ეტაპზე მტკიცების უფრო მაღალი სტანდარტი მოქმედებს. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე №ას-872-830-2013, რომლის მიხედვითაც ,,კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებაზე“. განხილვის

კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორს ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება სარწმუნო, დამაჯერებელი და უტყუარი მტკიცებულებებით დაედასტურებინა მის მიერ საჩივარში მითითებული გარემოებები.

6.10 2023 წლის 17 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე მხარეთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ადვოკატი რ. პ. სისხლის სამართლის საქმეში არ ჩართულა უშუალოდ ბრალდებულის მოწვევით; დადგინდა, რომ ადვოკატი რ. პ. არასრულწლოვნის ინტერესებს იცავდა არასრულწლოვნის ბაბუის - გ. ბ.-ის (ბრალდებულის მამა) მოწვევით; საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ბაბუას შვილიშვილი ძალიან უყვარდა და ის დადებითად დაახასიათა, თუმცა იმ ფაქტის გამო, რომ გ. ბ. გარდაცვლილია, კოლეგიისათვის უცნობია მისი პოზიცია და დამოკიდებულება ბრალდებულ მ. ბ.-ს ქცევასთან დაკავშირებით, რაც აღნიშნული საკითხის შეფასებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა; ამავდროულად, განხილვის კოლეგიის სხდომაზე ორივე მხარემ განმარტა, რომ ადვოკატი არ შეხვედრია არასრულწლოვანს და მას საპროცესო მოქმედებები არ განუხორციელებია. კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ დღესდღეობით, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო შედეგი დამდგარი არ არის, საქმე მიმდინარეა და ბრალდებულ მ. ბ.-ს მიმართ სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ არის. იმის მიუხედავად, რომ საჩივრის ავტორს ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიაში წარმოედგინა სარწმუნო მტკიცებულებები, რაც ეთიკის კომისიას დაარწმუნებდა, რომ ადვოკატმა რ. პ.-მ დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტები, მას ეს არ გაუკეთებია.

6.11 შედეგად, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ რ. პ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1 მუხლისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.1 მუხლების საფუძველზე.

6.12 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონის 28.14 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №025/21 ადვოკატ რ. პ. - ს /სიითი№/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/